

BAG

ინდუქსია

ინვესტიციების
კვლევა



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich




Research

BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც, BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2022 წლის პირველ კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2021 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2022 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2021 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 51%-მა განაცხადა, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 42%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 7%-ისთვის შემცირდა.



გრაფიკი 1: საინვესტიციო გარემო 2021 წელს

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიებიდან არცერთს დაუფიქსირებია 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციების შემცირება. ვაჭრობის, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში ჯამური ინვესტიციების კლება, შესაბამისად, 5%, 7% და 25%-მა დააფიქსირა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 3, 4, 5, 6).

რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას, მრეწველობის სექტორში კომპანიათა 73%-ის განცხადებით, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, ჯამურმა ინვესტიციებმა იმატა. მომსახურების სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 52%-მა დააფიქსირა, ხოლო ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებში - 49%-მა და 13%-მა.


რაც შეეხება ინვესტიციების მიზნობრიობას, 2021 წელს, კომპანიების უმეტესობამ გაზარდა ინვესტიციები როგორც პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში (54%), ასევე, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (52%). ინვესტიციების ზრდა ყველაზე ნაკლებად შენობა-ნაგებობებში შეინიშნებოდა. ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდა კომპანიათა მხოლოდ 34%-მა დააფიქსირა.

სექტორების მიხედვით, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი მატება ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც კომპანიების 62%-მა გაზარდა ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით. ხოლო, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში ინვესტიციების მიხედვით გამოირჩეოდა მრეწველობის

სექტორი, სადაც კომპანიების 73%-ში ფიქსირდება ინვესტიციების ზრდა. რაც შეეხება შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების ზრდას, აღსანიშნავია მრეწველობის სექტორი, სადაც კომპანიათა 50%-მა განაცხადა, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაზარდა.

2022 წლის საინვესტიციო გეგმები

2022 წლის პირველ კვარტალში გამოკითხული კომპანიების 59%-მა განაცხადა, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზარდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 32% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელოს, ხოლო მხოლოდ 9% მოელოს ინვესტიციების კლებას.




გრაფიკი 2: კომპანიების 2022 წლის საინვესტიციო გეგმები


სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2022 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 73% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. მომსახურებისა და მრეწველობის სექტორებში მსგავსი მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა 56% და 47%-ს აქვს, ხოლო მშენებლობის სექტორში 38%-ს.

2022 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად - შენობა-ნაგებობებისა და ალტურვილობის მიმართულებით. გამოკითხულთა 57% მოელოს, რომ 2022 წელს მათი ინვესტიციები გაიზარდება პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით. მსგავსი მოლოდინი შენობა-ნაგებობების და ალტურვილობის მიმართულებით 52%-ს აქვს.

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, ყველაზე დადებითი პროგნოზი ფიქსირდება ვაჭრობის სექტორში ინვესტიციების სამივე მიმართულებით. კერძოდ, ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 72% აპირებს გაზარდოს ინვესტიციები პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და ალტურვილობის მიმართულებით კი კომპანიათა 69% და 70% გეგმავს ინვესტიციების ზრდას. ყველაზე უარყოფითი პროგნოზი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულთა 17% გეგმავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში ინვესტიციების შემცირებას, ხოლო შენობა-ნაგებობებისა და ალტურვილობის მიმართულებით კომპანიათა 13% და 14% გეგმავს ინვესტიციების შემცირებას 2022 წელს.




გრაფიკი 3: საინვესტიციო გარემო 2020 და 2021 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2022 წელს ვაჭრობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)




გრაფიკი 4: საინვესტიციო გარემო 2020 და 2021 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2022 წელს მომსახურების სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)


* - მოლოდინი



გრაფიკი 5: საინვესტიციო გარემო 2020 და 2021 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2022 წელს მრეწველობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)



გრაფიკი 6: საინვესტიციო გარემო 2020 და 2021 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2022 წელს მშენებლობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge